სახლმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №———— 60

ქ. ქუთაისი 17 სექტემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ, შპს „ქართული ტრადიციები 2011“, (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის გოჩა მარგველაშვილის სახით, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, ნ. დუმბაძის ქუჩა 59-61, მეორეს მხრივ შპ „[illegible]“, მისამართი ქ. ქუთაისი, [illegible] ს/კოდი 412694071. (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი [illegible] სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 შემსყიდველმა აწარმოა ერთ პირთან მოლაპარაკება მომსახურების შესყიდვაზე: კომპიუტერული მოწყობილობის და ქასესუარების შესყიდვაზე (შესყიდვის ზოგადი კატეგორტიის **(CVP)** კოდი 30200000კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები), შესყიდვის კლასიფიკატორის **(CVP)** კოდი 30232110 ლაზერული პრინტერები, და მიიღო მიმწოდებლისაგან წინადადება, მომსახურების მიწოდებაზე შემდეგ თანხაზე: 360 (---360) ლარი.

1.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების საფასური ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და ვადებში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს --360---360 ლარს.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

3.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზების მითითებით;

3.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სასაქონლო ზედნადების გაფორმებით.

4.2 მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მომსახურების ფაქტიური დადასტურების შემდეგ.

5. ანგარიშწორება და ვალუტა

5.1 ანგარისწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2 ანგარიშსწორება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა (რაც დადასტურდება ამ ხელშეკრულების მე-7 მუხლში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტით ან სასაქონლო ზედნადებით) და თანმდევი მომსახურების განხორციელების შემდეგ არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

5.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

6. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

6.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

6.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

6.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. უფლებების გადაცემა

7.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობები.

8. სუბკონტრაქტორები

8.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში მითითებული მონაცემების მიხედვით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

8.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

8.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9. მხარეთა უფლება–მოვალეობები

9.1 შემსყიდველი ვალდებულია:

9.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

9.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება;

9.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

9.2.1 შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

9.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

9.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

9.2.4 მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლოვანი ან უხარისხო მომსახურების ნაკლის აღმოფხვრა.

9.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

9.3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

9.3.3 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

9.3.4 საკუთარი ხარჯებით აანაზღაუროს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი უხარისხო მომსახურებით მიყენებული ზიანი ან აღმოფხვრას არსებული ნაკლი.

9.4 მიმწოდებელს უფლება აქვს:

9.4.1 მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული,

ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 10 პროცენტი;

11.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულების 0.2%–ს.

11.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%–ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

11.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევეაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;

11.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყონებლივ.

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;

13.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის

ორგვლივ.

14.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი 30 დღეში ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

19. სხვა პირობები

19.1 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

19.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 1 (ერთი) პირი შემსყიდველთან.

20. მხარეთ რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს „ქართული ტრადიციები 2011“	შპს „მაიპისი“
მის: ქ. ქუთაისი, ნ. დუმბაძის ქუჩა №59-61	მის.: ქ. ქუთაისი, ფანასკერტელი 23
ს.ს „თიბისი ბანკი"	ანგარიშწორების ანგარიში:
ანგარიშის № GE03 TB75 5503 6020 1000 03;	სოლოლაკი ბანკი
ბ/კოდი: TBCBGE 22.	ს/ნ. GE23BC0213602010001550 6.
ს/კოდი: 412681218	MiBGGE22
	412694071.
დირექტორი:	
----------	----------
გ. მარგველაშვილი	ხელმოწერა

LTD GEORGIAN TRADITIONS 2011 • საქართველო • GEORGIA

„მაიპისი“ • „MAIPISI“ • GEORGIA. LTD • 412694071

ფასების ცხრილი

მომსახურეობის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	შენიშვნა
ასფალტი ყავი10	1	360	360.	
			360,	